


## ტალღამრიდი (ახალი პრინციპზე დამყარებული მოდელი)

შემოსულია 14.12.2016

### გამოგონების ფორმულა

ტალღამრიდი წარმოადგენს წყალში, (სითხეში) ჩაძირულ ღრუ ტანის პარალელური ან ცილინდრის ფორმის სულ მცირე 1 სხეულს, რომელიც დევს ან დამაგრებულია ფსკერზე ტალღის გავრცელების მიმართულებით და ამ მართულების პერპენდიკულარული გვერდები არ გააჩნია, რის გამოც მასში არსებული წყალი (სითხე) ტალღური ნაკადის გავლენით ასრულებს წინსვლა-უპუსვლით მოძრაობას.



ნახაზი.

წითელი ფერით აღნიშნულია წყლის დონე;

შავი ფერით - ტალღის გავრცელება ტალღამრიდის გარეშე;

მწვანე ფერით - ტალღის გავრცელება ტალღამრიდის გამოყენებით

### აღწერილობა

ცნობილია ტალღამრიდის ნაირსახეობა, რომელთა დანიშნულებაა შეამციროს ტალღის გავლენა სანაპიროზე. ყველა დღეისათვის არსებული მოდელი განკუთვნილია ტალღის კინეტიკური ენერგიის შემცირებისათვის, ამისათვის გამოიყენება ტალღის გავრცელების პერპენდიკულარულად განთავსებული მყარი წყალქვეშა ნაგებობები ან მოტივტივე სხვადასხვა ფორმის ტალღის ენერგიის გამბნევი.

ყველა შემთხვევაში ხდება ტალღის ენერგიის ნაწილის არეკვლა და ნაწილის გაბნევა. ამის შედეგად მცირდება ტალღის ენერგია, რაც გამოიხატება ტალღის ამპლიტუდის შემცირებით.

ყველა ჩვენთვის ცნობილი ტალღამრიდის მოდელისაგან განსხვავებით, ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოდელში ხდება ტალღის დაშლა, ნაწილი ტალღისა გადადის ძირითადი ტალღის წანაცვლებულ ფაზაში, თუ რამდენად წანაცვლებული იქნება ფაზა დამოკიდებულია ტალღის სიგრძისა და ტალღამრიდის სიგრძის თანაფარდობაზე.

მაგალითად, თუ ტალღამრიდის სიგრძე იქნება ძირითად ტალღის სიგრძის ნახევარი, მაშინ მეორადი, ანუ წანაცვლებული ფაზის ტალღა, წარმოიშვება ძირითადი ტალღის საპირისპირო ფაზაში, რაც მის ნაწილობრივ ჩაქრობას გამოიწვევს, იმ ნაწილით, როთაც შემცირდება ძირითადი ტალღა (იხ. ნახაზი).

ტალღის ენერგიის რა ნაწილი ხმარდება წყლის მასის ტალღამრიდში წინსვლა-უპუსვლითი მოძრაობას, დამოკიდებულია:

1. ტალღამრიდის სიგრძეზე;
2. ტალღამრიდის სიმაღლეზე, რაც შეზღუდულია წყლის დონით და ტალღის ამპლიტუდით, რადგან ტალღამრიდში არ უნდა მოხვდეს ჰაერი.

ტალღამრიდში წყლის წინსვლა უპუსვლითი მოძრაობის ამპლიტუდა მით მეტია, რაც მეტია ტალღამრიდის სიმაღლე და მით ნაკლებია, რაც მეტია ტალღამრიდის სიგრძე.

აღნიშნული ეფექტის არსი ეფუძნება ტალღის თვისებას, კერძოდ წყლის სვეტის პორიზონტალური გადაადგილება მისი კინეტიკური ენერგიის გამო გავლენას ახდენს მომიჯნავე ასეთივე სვეტზე, რომლის ინერტულობის გამო ჩნდება წყლის ზედაპირზე ტალღის კუზი, რაც ტალღის პოტენციური ენერგიის გამოხატულებაა, ტალღის კუზის ჩამოშლა კვლავ კინეტიკური ენერგიის აღდგენას იწვევს.

ასეთი უწყვეტი პროცესი ვიზუალურად მუდმივად არსებული კუზის გადაადგილებად აღიქმება და ამით განისაზღვრება ტალღის ერთერთი მახასიათებელი - ტალღის გავრცელების სიჩქარე.

აღნიშნული ეფექტის არსი ასევე ეფუძნება წყლის ფიზიკურ თვისებას, - წყალი პრაქტიკულად არ არის კუმშვადი.

აქედან გამომდინარე, ძირითადი ტალღის მოძრავი სვეტი, როდესაც გავლენას (წნევას) ახდენს ტალღამრიდის დია გვერდზე (წარმოსახვით ზედაპირზე) ,

ტალღამრიდის არეში არსებული წყალი ვედარ წარმოქმნის ტალღის კუნის და მიღებული ენერგიით დაწყებული მოძრაობა მყისიერად გადაეცემა ტალღამრიდის დია ბოლოში.

ამიტომ ტალღის ფაზის წანაცვლება მოხდება იმ დროით, რაც ჭირდება ტალღას ტალღამრიდის სიგრძის გასავლელად.

თუ ტალღის პერიოდი არის  $T$ ,

სიჩქარე  $V$ ,

სიგრძე  $L$  და ტალღამრიდის სიგრძე  $L_{br}$ ,

მაშინ ფაზის წანაცვლება მოხდება  $T - L_{br} / V$  პერიოდით.

ტალღის სიგრძის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ

$$V(T - L_{br} / V) = V \cdot T - L_{br} = L - L_{br},$$

ფაზის წანაცვლება მოხდება ტალღამრიდის სიგრძით  $L_{br}$ -ით.

იმ შემთხვევაში, თუ ტალღის სიგრძე დაემთხვევა ტალღამრიდის სიგრძეს რეზონანსის მოვლენას მაინც არ ექნება ადგილი, რადგან ენერგია, რომელიც ემატება ტალღას მოცემულ ფაზაში ტალღამრიდის საშუალებით, ერთი პერიოდით ადრე მოაკლდა ამავე ტალღას.

ტალღამრიდის წარმოდგენილი მოდელის გამოყენება ბევრად უფრო მდგრადი, ეფექტური და მომგებიანი იქნება სხვა დღეისათვის ცნობილი მოდელებთან შედარებით.

[www.youtube.com/watch?v=-H9FX1iHr3s](http://www.youtube.com/watch?v=-H9FX1iHr3s)

## მერაბ ჭირაქაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განახლებადი ენრგიის და ენერგოეფექტურობის საინოვაციო ცენტრი

Email: [m.chiraqadze@yahoo.com](mailto:m.chiraqadze@yahoo.com) +995 599 98 98 32